ოქმი:**ო31.31210961**
თარიღი:**06/04/2021**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N 5

ქ. ლანჩხუთი

01. 04. 2021 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-ახალი ძალა თვითმმართველობის განვითარებისათვის“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის სპეციალისტი რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის სპეციალისტი ცირა ბზეკალავა.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 აგვისტოს N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ლევან ჩხაიძე/

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ცისანა ურუშაძე.

დღის წესრიგის პირველი საკითხი:„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 26 თებერვლის N274 განკარგულებით შესული ცვლილებით მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 321798 ლარი, ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში, ყვავილნარის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დასაფინანსებლად აღნიშნულ პროექტეზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 16937 ლარი, სულ პროექტების ღირებულება 338735 ლარს შეადგენს.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N330 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 204642 ლარი სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციოდ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის N397 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებაში, ქ ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაციაზე გამოიყო 123130 ლარი, თანადაფინანსებაზე უნდა მიიმართოს 6482 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 129612 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N27 განკარგულებით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით მომსახურების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხიდან აუთვისებელი 57420 ლარი და 22 თეთრი უნდა მიიმართოს 2021 წელში მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯების დასაფინანსებლად, ამასთან საქართველოს 2021 წლის 04 თებერვლის N147 განკარგულების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების დაფინანსება 271282 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის N168 განკარგულებით მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად გამოეყო 748000 ლარი.

რეაბილიტირებული ამბულატორიების გაზის ქსელში ჩართვის დაფინანსებისათვის გამოიყოს 2100 ლარი, გარე განათების ელ.მრიცხველის დამონტაჟებისათვის 4000 ლარი, ასევე ლესის საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის გაზის ქსელში ჩართვისათვის გაოიყოს 5000 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის მომართვის განხილვის შედეგად მიზანშეწოლილია მიმდინარე წლის დაფინანსება გაეზარდოს 5200 ლარით, ხოლო დამტკიცებულ ასიგნების ფარგლებში ხელფასის ფონდის 5000 ლარით და საქონელი და მომსახურების (შტატგარეშე) მუხლის 4100 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 8500 ლარით და არაფინნასური აქტივების მუხლი 1500 ლარით.

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ გურიას 2020 წლის განმავლობაში აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე თანხები უნდა ჩამოჭროდა ანგარიშიდან, ვინაიდან საფეხბურთო კლუბს არ გააჩნდა საკმარისი სახსრები, თანხები ჩამოიჭრა ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან ნაშთის ხარჯზე, აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს 37200 ლარის ხაზინის ერთიან ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, რათა დაფარული იქნეს საფეხბურთო კლუბ გურიას დავალიანება.

2019 წლის 20 დეკემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)-ს შორის ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად უნდა გაგრძელდეს გრიგოლეთის განაშენიანების გეგმის შემუშავების დაფინანსება 75000 ლარის ფარგლებში; მ.შ ტურისტული ობიექტების მოწყობის დაფინანსებაზე 7064 ლარი, აქედან 1540 ლარი სარეკლამო აბრების მაჩვენებლების დამზადება, 2524 ლარი მიმდებარე ტერიტორიის განათება, 3000 ლარი ინსტრუქტორების (ტრენინგის) მომზადებაზე. გრანტით დასაფინანსებელ ღონისძებებზე უნდა მიიმართოს ამ დანიშნულებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთი 32064 ლარი,

ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებას გაეზარდოს დაფინანსება 4200 ლარით საქონელი და მომსახურების მუხლი, ასევე დამტიკცებულ ასიგნების ფარგლებში შტატით მომუშავეთა ანაზღაურების მუხლის 3202 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 3202 ლარით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფისის ხარჯი გაიზარდოს 15000 ლარით, მერიის ოფისის ხარჯი გაზიარდოს 20000 ლარით სამუშაო ოთახების მოწესრიგებისათვის.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ფინანსური აღიცხვა-ანგარიშგების წარმოებისა და ბიუჯეტის ფინანსების ეფექტური მართვის პრნციპის დამკვიდრების მიზნით განხორციელდეს ბუღალტრული პროგრამის შესყიდვა მუნიციპალიტეტისა და ა(ა)იპ-ეებისათვის, რომლის სავარაუდო ღირებულებაა 37000 ლარი.

პროექტების თანადაფინანსებისა და გაზრდილი ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით არაფინანსური აქტივების (გაყიდვით) კლების გეგმის 153119 ლარით ზრდის ხარჯზე.

ზემოთაღნიშნული ღონისძიებები ბიუჯეტში უნდა აისახოს როგორც შემოსავლის, ასევე ხარჯვით ნაწილში.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ელისო ჭიჭინაძე.

საკრებულოს წევრები **გოდერძი ქურიძე** და **ცისანა ურუშაძე** დაინტერესდნენ დაწყებულია თუ არა მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ორაგვეში გზის

რეაბილიტაციასთან დაკავშირებით საპროექტო სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის იმ თანხის გარდა, რომელიც დღევანდელ სხდომაზეა წარმოდგენილი, მომზადებულია 3 600 000 ლარის ღირებულების პროექტები, რომელთანაც დაკავშირებით გამოცხადებულია ტენდერები და მიმდინარეობს სამუშაოები, მაგრამ ამ თანხაში არ შედის სახურავების საკითხი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში გარდა ქალაქისა, მიმდინარე წელს კიდევ დაახლოებით 3 მლნ. ლარის ფარგლებში მოხდება შიდა გზების დაპროექტება. მათ შორის მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულშიც. რაც შეეხება ქალაქს, საკითხის დასაზუსტებლად მიმდინარეობს მუშაობა.

საკრებულოს წევრმა **ცისანა ურუშაძემ** ასევე, ყურადღება გაამახვილა გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჯუნეწერში გზის კეთილმოწყობის საკითხზე და აღნიშნა, რომ შეიძლება დაიწყოს სამუშაოები, თუნდაც სანიაღვრე არხების მოწყობა.

მუნიციპალიტატის მერის განმარტებით, გასულ წელს, როცა გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში გაკეთდა პროექტები, უნდა ყოფილიყო გარდამავალი და გაგრძელებულიყო მიმდინარე წელსაც, მაგრამ ამ წლის პროექტებიც კი შარშან გაკეთდა. მისი თქმით, ამ ეტაპზე მოქმედებენ ფინანსური რესურსიდან გამომდინარე. გარკვეული სამუშაოების დაწყება რა თქმა უნდა, შესაძლებელია, თუკი იქნება შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისის თავმჯდომარის **ალექსანდრე მახათაძის** განცხადებით, აუცილებელია უფრო მეტი ყურადღება მიექცეს მუნიციპალიტეტის იმ სოფლებს, სადაც გასულ წლებში გაცილებით ნაკლები თანხა დაიხარჯა რეგიონული განვითარების ფონდის ეგიდით.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებული იქნა დადგენილება N9 (01.04.2021)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 აგვისტოს N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მისი განმარტებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 აგვისტოს N14 დადგენილებაში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ, დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის „ღ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ყ-ჭ“ პუნქტები:

„ყ) სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების აქტიური იდენტიფიცირება, მათი საჭიროებების განსაზღვრა და შეფასება, პრობლემის იდენტიფიცირებას და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდება;

შ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია საფრთხის თავიდან აცილება, ბენეფიციართა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალურ მომსახურებებში ჩართვა და ამის შესახებ შესაბამისი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინება;

ჩ) ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირება და მასზე შესაბამისი რეაგირება;

ც) ბენეფიციარებისათვის შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი

მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და მათში ჩართვის ხელშეწყობა;

ძ) მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციის გაწევა;

წ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის ჩატარება;

ჭ) საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური მუშაობის ჩატარება“.

საკრებულოს წევრი **ამირან გიგინეიშვილი** დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა საჭიროებითაა გამოწვეული დღევანდელი რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში აღნიშნული საკითხის შეტანა, რადგან მისი აზრით ეს აუცილებლობას ნამდვილად არ წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება. აქედან გამომდინარე, მოხდა პროექტის დღევანდელი სხდომის დღის წესრიგში შეტანა.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს 1 წევრმა (ამირან გიგინეიშვილი).
მიღებული იქნა დადგენილება N10 (01.04.2021)

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მისი გამარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამაში ცვლილების მიზნით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების პროექტის განხილვისას საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ დაისვა საკითხი სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსებასთან დაკავშირებით: კერძოდ პროგრამული ბიუჯეტით 1 სეანსის ღირებულება განსაზღვრულია 20 ლარი. პროგრამის მოსარგებლისათვის განსაზღვრულია თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდება. პროგრამის ხარჯი 1 თვე შეადგენს 400 ლარს. **სერვისის მომწოდებელ ორგანიზაციებში 1 სეანსის ღირებულება განსაღზვრულია** სხვადასხვა ფასით, რაც საერთო ჯამში პრობლემას უქმნის ბავშვებს. ეთხოვა მუნიციპალიტეტის მერიას საკითხის შესწავლა და პრობლემის მოგვარება. საკითხი შესწავლილი იქნა მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ. მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში შემოსულია ერთ-ერთი ბენეფიციარის მშობლის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მის მიერ შერჩეულ სერვისის მომწოდებელ ორგანიზაციაში 1 სეანსის ღირებულება შეადგენს 30 ლარს. სამსახურის მიერ გადამოწმდა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების სერვისის მომწოდებელ ორგანიზაციებთან ინფორმაცია. სერვისის **მომწოდებელ ორგანიზაციებში 1 სეანსის ღირებულება განსაღზვრულია** სხვადასხვა ფასით და იგი რიგ ორგანიზაციებში შეადგენს 20, 25 და 30 ლარს.

ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მართებულად ჩაითვალა პროგრამული ბიუჯეტიდან ამოღებული იქნას ჩანაწერი „1 სეანსის ღირებულება 20 ლარი“ და მის ნაცვლად გაკეთდეს ჩანაწერი „მუნიციპალიტეტი დააფინანსებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსს სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურეობის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 400(ოთხასი) ლარისა“. ზემოაღნიშნული ცვლილება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას და მისი მიღება მიზანშეწონილია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს მიმდინარე წლის 29 მარტს დაეწერა ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის N79 წერილი, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტში მოიმატა კოვიდინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რიცხვმა. დღეის მდგომარეობით დარეგისტრირებულია 19 გარდაცვლილი. კოვიდით გარდაცვლილთა ტრანსპორტირება კლინიკიდან საცხოვრებელ ტერიტორიაზე ხშირ შემთხვევაში მათი ოჯახებისთვის პრობლემას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ითხოვს აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში დახმარებას. ასევე არსებულმა პრაქტიკამ ნათელი გახადა, რომ საჭიროა კორონა ვირუსზე საეჭვო პაციენტების ტრანსპორტირების დაფინანსება, რათა თავიდან იქნას აცილებული პანდემიის გავრცელების შესაძლო რისკი. 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „კოვიდ 19-ით ინფირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა“. მართებულად მიაჩნიათ პროგრამულ ბიუჯეტში „კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა“ პროგრამის კოდი 02 06 24 შევიდეს ცვლილება ტექსტობრივ ნაწილში-კერძოდ პროგრამის აღწერა და მიზანი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე კოვიდ 19-ით ინფიცირებული ბენეფიციარებ,ი რომლებსაც დაუდასტურდებათ კოვიდ 19 და საჭიროებენ გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში ან ბინაზე, ასევე კვლევების ჩატარებას, ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინფიცირებულის სამედიცინო დაწესებულებაში ან ბინაზე ტრანსპორტირება, ასევე კორონა ვირუსზე საეჭვო პაციენტების ტრანსპორტირება კვლევების ჩასატარებლად და სამედიცინო დაწესებულებაში გამოჯანმრთელებული ბენეფიციარის სახლში ტრანსპორტირების დაფინანსება. ხოლო კოვიდ 19-ით ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების შემთხვევაში განხორციელდება მათი სასტუმრომდე ტრანსპორტირების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება კოვიდ 19-ით გარდაცვლილთა ბინაზე ტრანსპორტირების დაფინანსება.“ ზემოაღნიშნული ცვლილების განხორციელება შესაძლებელია პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში, ვინაიდან დღეის მდგომარეობით პროგრამიდან გახარჯულია 1422 ლარი. ზემოაღნიშნული ცვლილება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას და მისი მიღება მიზანშეწონილია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

ბიუჯეტში ცვლილების პარალელურად აუცილებელია ცვლილება შევიდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებაში კერძოდ: დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის „ყ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ყ)კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა -ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კოვიდ 19-ით ინფიცირებული ბენეფიციარები, რომლებსაც დაუდასტურდებათ კოვიდ 19 და საჭიროებენ გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში ან ბინაზე, ასევე კვლევების ჩატარებას, ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინფიცირებულის სამედიცინო დაწესებულებაში ან ბინაზე ტრანსპორტირება. ასევე, კორონა ვირუსზე საეჭვო პაციენტების ტრანსპორტირება კვლევების ჩასატარებლად და სამედიცინო დაწესებულებაში გამოჯანმრთელებული ბენეფიციარის სახლში ტრანსპორტირების დაფინანსება. ხოლო კოვიდ 19-ით ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების შემთხვევაში, განხორციელდება მათი სასტუმრომდე ტრანსპორტირების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში განხოციელდება კოვიდ 19-ით გარდაცვლილთა ბინაზე

ტრანსპორტირების დაფინანსება. გადაწყვეტილება მიიღება შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და ა(ა)იპ - ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ, კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებული იქნა განკარგულება N 23 (01.04.2021)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ.** მან განმარტა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად დამატებით წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების შემდეგი ნუსხა:

1) ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი გიგინეიშვილის სახლთან რკ.ბეტონის არხების და ასფალტობეტონის გზის მოწყობის სამუშაოები-258681.93 ლარი;

2) ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ეკლესიის მიმდებარე ქუჩაზე რკ.ბეტონის არხების და ასფალტობეტონის გზის მოწყობის სამუშაოები-249897.21 ლარი; საერთო ჯამი - 508579.14 ლარი.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, გათვალისწინებულია თუ არა 2021 წელს დასაფინანსებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებში ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზის მოწესრიგება, რადგან არის ისეთი ადგილები, სადაც შეუძლებელია მისვლა. ამასთან დაკავშირებით მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ მიმდინარე წლისთვის ეს საკითხი გათვალისწინებული არაა, რადგან გასულ წელს ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხებიდან შიდა გზის და წყალმომარაგების მოწესრიგებაზე მიიმართა 860 000 ლარზე მეტი, აქედან 180 000 ლარი მოხმარდა გზების კეთილმოწყობას. გარდა ამისა, ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის მერმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ 2020 წელს მუნიციპალიტეტისთვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან 800 000 ლარზე მეტი ანუ ფაქტიურად მეხუთედი მოხმარდა ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში გზებისა და წყალმომარაგების კეთილმოწყობას. მისი თქმით, ძალიან კარგია, როცა არის იმის ფინანსური რესურსი, რომ ყველგან მოგვარდეს გზის პრობლემა, მაგრამ როცა ლიმიტი არის განსაზღვრული, დანარჩენ ადმინისტრაციულ ერთეულებსაც უნდა მიექცეს შესაბამისი ყურადღება, რადგან გასულ წელს ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მიიმართა გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე სხვაგან.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, დაევალოს მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს საკრებულოს მომავალი სხდომისთვის მოამზადოს

გასული 4 წლის განმავლობაში რეგიონული განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხებიდან თუ რომელი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება განხორციელდა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით.

საკრებულოს „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე **გოგი მორჩილაძე** დაინტერესდა, რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილ თანხებში თუ არის გათვალისწინებული აკეთის ადმინისტრაციული ერთეულში დასაფინასებელი პროექტები.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ სოფელ აკეთში გასულ წელს გაკეთდა გაზიფიცირება, ხოლო მიმდინარე წელს ელოდებიან წყალმომარაგების სრულ რეაბილიტაციას. გარდა ამისა, რეგიონული განვითარების ფონდში ჩასმულია თანხა, რომლითაც აკეთთან ერთად სხვადასხვა სოფელში მოხდება შიდა გზების გარკვეული მონაკვეთების კეთილმოწყობა. უკვე გამოვლენილია ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყებს საპროექტო სამუშაოებს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-ახალი ძალა თვითმმართველობის განვითარებისათვის“ თავმჯდომარის **ზაზა წულაძის** განცხადებით ყველანაირად უნდა შეეცადონ, რათა რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხების გადანაწილება ადმინისტრაციული ერთეულებში მეტ-ნაკლებად თანაბრად მოხდეს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 1 წევრი (კარლო კვიტაიშვილი).
მიღებული იქნა განკარგულება N24 (01.04.2021)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

1 აპრილი **2021** წელი
11.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	10 [illegible]	[illegible]
2	ვლადიმერ ნანაძე	10 55	[illegible]
3	ვერიკო კვირკველია	10.57	[illegible]
4	ალექსანდრე მახათაძე	10 45	[illegible]
5	გიორგი ჩახვაძე		
6	გიორგი გვარჯალაძე	10 55	[illegible]
7	ემზარ თევდორაძე		
8	ბესიკ კუპრაძე	10 57	[illegible]
9	გოგი მორჩილაძე	10 59	[illegible]
10	სპარტაკ კვაჭაძე	10-58	[illegible]
11	ლელა ჩახვაძე		
12	ზაზა წულაძე	10 45	[illegible]
13	კახა ბოლქვაძე		
14	ციცინო ჩხაიძე	10-58	[illegible]
15	კარლო კვიტაიშვილი	10 55	[illegible]
16	ზურაბ კუკულავა	10 35	[illegible]
17	ოთარ პატიეშვილი	10:45	[illegible]
18	ირაკლი მარშანიშვილი		
19	იოსებ ჩხაიძე		
20	ელისო ჭიჭინაძე	10 45	[illegible]
21	ამირან ქანთარია		
22	დავით ჩხარტიშვილი	10 50	[illegible]
23	აკაკი იმნაიშვილი		

24	ზაალ სანაძე	1055	
25	რევაზ კვერენჩხილაძე		
26	კახაბერ ასკურავა		
27	ამირან გიგინეიშვილი	1050	
28	ცისანა ურუშაძე		
29	გოდერძი ქურიძე	10 50	
30	კახა თედორაძე		
31	რეზო კვაჭაძე	1055	
32	ვენე კვირკველია	1050	